

ივერიის

გაზეთის დასაყვედოდ და კერძო განცხადებ-
ათა დასაბეჭდად უნდა მიჰქმარონ: თვითონ
რედაქციას, ანაღ-ბეგუთოვის ქუჩაზე, სახ-
ლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრა-
ლურს ზე გრიჭოვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-
ქონი რვა კაპ.

გაზეთი ღირს:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 — 6	6 —	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

1877—1886 წელიწადი

საზოგადოებრივი და სალიტერატურული გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 მაისამდე წლის დამლევამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 29 აპრილი

აპრილის დასასრული და მაისის დასაწყისი იშვიათის თვისების დროა ჩვენის მიერ უბედურების ცხოვრებისათვის. სწორედ ამ ხანებშია დრო, როცა სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი ჩვენის ღირსების ცხოვრების იკრიბებიან ქალაქში, ანგარიშს იძლევიან თავის წილიურის მოქმედებისას, წიგნი საზოგადოებისათვის ერთმანეთს ხედავენ და გაელაპარაკებიან ხოლომე საჯაროდ. ეს იმისთანა დროა და შემთხვევა, როცა ჩვენი ქართველობა, თვალყურის მადევრებელი და საზოგადო საქმეების გულ-შემბტიკარი, ცოტად თუ ბევრად, თავის საკუთარს... საქმეებზედ საჯაროდვე სჯის, ბასობს და კამათობს. საჯარო განხილვის და ხეობრივი ძალ-ღონე ჩვენი აქ მოულოდნელად მოხდის და ასწავლის. ამ მხრით ამ სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი წილიურ კრებათა დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის. ჯერ ერთი, რომ იგი კრებანი ძალი-უნებურად გვასწავლიან საზოგადო საქმეებზედ ფიქრსა და მზრუნველობას, გვეუბრებიან საზოგადო საქმეთა მოღვაწეობისათვის, გვაჩვენებენ ცოტად თუ ბევრად წესსა და რიგსა საზოგადო საქმეების საჯაროდ წარმოებისას, გვასწავლიან ლაზარეს, სიტყვა-პასუხს და წესიერს ქცევას, რომელიც აუცილებლად საჭიროა რიგისის საჯარო კრებისათვის და საქმეების რიგისად

წარმართებისათვის. ამ სახით იგი კრებანი ძალიან კარგი სკოლაა ჩვენთვის. სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენ შორის გულისტკივილი საზოგადო საქმეთა მიმართ იმოდენად გაძლიერებული არ არის, რომ მოიზიდოს ბლომად ხალხი კრებაზედ დასასწრებლად. ხშირად კრება არც კი შესდგება ხოლომე პირველ დანიშნულ ვადაზედ, რადგანაც კანონიერი რიცხვი წევრთა არ მოადის კრებაზედ დასასწრებლად. ამისთანა საკურადდებო საზოგადოებრივი, როგორც «წინა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» და საზოგადოება, «დარბთა მისწავლელთა შემწეობისათვის დაარსებული, კვლავზედ მეტად უნიკოდენ ჩვენს დაუდევრობას და გულ-კრილობას მაშინ, როდესაც მაგ საზოგადოებრივი კეთილ-დღეობისა წარმატებასა და ხელ-შეწყობაზედ ბევრი სიკეთეა ჩვენი დამოკიდებული. ვისაც ადვილად უნდა ამ სამწუხარო მოვლენის ასწავლა, მაგის მიზეზის აღმოჩენა, იგი, რასაკვირველია, მაგ დაუდევრობის და გულ-კრილობის სათავედ თვით «საზოგადოებათა» გამგებობას განდის: საქმე ვერ მიჰყავთ რიგისად და ამიტომაც თანა-გრძობა ვერ მოუპოვებიათ. ჩვენ ასე ადვილად და მოუთქმებლად მიზეზის აღმოჩენას ვერ შევიწყნარებთ. ჩვენს დაუდევრობას, გულ-კრილობას კაცი ამით თავის დედა ვერ გაამართლებს, თუ სამართლიანად, გულ-დადებით და მიუდგომელად განსჯის. ყოველივე გამგებობა საზოგადო საქმეთა თვით ჩვენზედ დამოკიდებული, რაკი გამგეთა არჩევანი ჩვენს ხელშია.

რაკი კანონმა ნება მოგვცა ჩვენ-ვე ამოვირჩიოთ კანონით შეწყნარებულის საზოგადოების გამგებობა, მაშასადამე ჩვენგან ამოირჩეული გამგებობა ისევე ჩვენვე ვართ. ამ სახით ყოველივე ბრალი, რასაც გამგებობას შევწამებთ, ჩვენი საკუთარი ბრალი უნდა იყოს, იმიტომ-რომ თვითოვენივე ვერც გამგებობისას ჩვენი საკუთარის მოწონების ხმა თანა სდევს, რაკი ამოირჩეული ჩვენ მიერ. ეს ერთი. მეორე ისა, რომ გამგებობასეთია, თუ ისეთია, ამასასე თუ ისე ემყარება ახალის არჩევანით. თუ ვისმე გულ-წრფელი, გულითადი, მართალი გულის-ტკივილი აქვს საქმისა, რატომ არ მოადის კრებაზედ და არჩევანზედ არ ესწრება? და თუ არ ესწრება, ნუ ეს არ-დასწრება დაუდევრობის და გულ-კრილობის უტყუარი ნიშანი არ არის! მესამე ისა, რომ გულ-მო-დგინება, გულ-შემბტიკარობა საქმისა მიმართ თვითონ საგანმა საქმისამ უნდა ადრას და გამოიწვიოს და არა გამგებობამ, რომელიც ყოველთვის ცვალებადია, დღეს არის და ხვალე შესაძლოა არ იყოს. თუ საქმე, გამგებობაზედ დანდობილი, ვერ მიდის, ჩვენის სურვილი-სამებრ, რიგისად და სახიროდ, რატომ არ მოვდივართ კრებაზედ, ჩვენს აზრს მართებულად და წესიერად არ წარმოვსთქვამთ, სხვებსაც არ დავიყოლიებთ, ვასწავლი-რებულ საქმეს არ გავასწორებთ და ჯეროვანად არ წარვმართავთ! აქ რა მუაშა გამგებობა, რომელიც არც გულთა მხილვაა უნდა მთავრობებოდეს, არც ყოველად შემძლებლობა? მოვიდეთ ხოლომე, ერთად შევიკრიბეთ, ერთად მოვიფიქროთ, ავიდეთ, დავიდეთ, ერთიანის ძალით გამოვასკუდი აზრი და მო-

პოვებული დონისძიება და სახსარი წინ წაუძვაროთ საქმესა. საქმე ფრთას გამოდის, გაიწვევს-გამოიწვევს, გადონიერდება, ფეხს მაგრად მოიკიდებს, უკვლას დაუნახვება მთელი თავისის სიგძე-სიგანითა და თანა-გრძობას მოიპოვებს მათ შორისაც, ვინც განზედ დგანან. თუ ასე არ მოვიქცებით, ძნელია საზოგადო საქმეთა ჯეროვანად მსვლელობა და წარმატება. აქ მართა წუნის პოვნა კი არ არის საჭირო: წუნს კაცი ადვილად იპოვის უკვლავ და უკვლავად. შეუცდომელი და უწყუნარი ქვეყანაზედ არ ვინ არ არის. რაც უნდა დიპლომატიკა იდოთ, თუ იგი საზოგადოებრივია, უსათუოდ რთული და მრავალ გეცია. ბევრი იმისთანა ძაფებია შიგ გამბეულ-გამომბეული, რომ ყოველის ცალკედ წინავე დანახვა ადამიანისაგან შეუძლებელია. აქ შევდამა ადვილი საქმეა, მაშასადამე წუნის დებაც ადვილია, რაკი შევდამა მომხდარია. საზოგადო საქმისათვის ჭეშმარიტს გულ-შემბტიკარს წუნის პოვნა იმიტომ კი არ ახარებს, რომ წავალ და წავიყვანებო, არამედ იმიტომ-რომ დღევანდელი წუნი ხვალისათვის გასაფრთხილებელი მაგალითია. მისთვის წუნი გადამრუნებული ურემია, რომელმაც გზა უნდა აღმოაჩინოს; მაგალითია მისი, რასაც ხვალისდელი დღე უნდა მოერიდოს, გამოცდილება, რომელიც ხელზედ უნდა დაიხვიოს სახვალისოდ. ამისთანა ქცევამა იგი პატიოსნებით სავსე მოქმედება, რომელიც მოქალაქობრივს ქველ-მოქმედებას უწოდებენ და რომელიც ჩვენში, ჩვენს სამწუხაროდ, ან სულ არ არის და თუ არის, ძალიან იშვიათად.

ამისთანა ქცევას დიდი გულ-მო-დგინება უნდა, დიდი ბეჯითობა, დიდი სიყვარული საქმისა, იმიტომ-რომ თუ კაცი ყოველ საზოგადო საქმეში ცნობიერად, ზედ მიწვენილის ცოდნით, ჭეშმარიტად აღიარებულის აზრით, სიკეთის სურვილით არ არის ადფრთავ-ნებულის, იგი მართა ჩნავანა გატობას თუ იზამს, თორემ სხვას არას ფერსა. თუ კაცი ამ თვისებათაგან გამოკლებულია და უამათოდ გამოკიდება საზოგადო საქმეს, იგი სცოდნებს საზოგადო საქმეს, აბრკოლებს, გზას უნდარ-თავს და უსამოვინების მეტს სხვას სიკეთეს არას მოუტანს არც თავის თავს და არც სხვას, არც საზოგადო საქმეს, არც ქვეყანასა.

ჩვენს სამწუხაროდ, ბევრს ჩვენ-განს დავიწყებული აქვს, რომ ჯერ ყოველ მხრით და მრავალ გეცად დავკვირება და შესწავლა უნდა საქმეს და მერე სარჩლისა, და წინააღმდეგობის გაწევა საჯაროდ და საქვეყნოდ. ხოლო ჩვენ-თუ სანუგეშოდ ესეც უნდა შევნიშნოთ, რომ თან-და-თან ამ მხრით ჩვენ ვკეთებთ, ყოველი კრება ბოლომდე იმ მხრით წინანდელს სჯობია ხოლომე...

ახალი ამბავი

* * სურათიანის «ვეფხისტყაოს-
ნის» დაბეჭდვის საქმე ნელ-ნელა მი-
დის წინ ახალი ასოები მალე მზად
იქნება, ქალაქი მზაა, ტექსტი შე-
სწორებულია და შემოწმებულია, ასო
მთავრულები ამოჭრილია, არშიაც
გაკეთებულია. დაბეჭდვა მხოლოდ
სურათებზეა. ამ სურათების დაბეჭდა

ფელეტონი

ზოგიერთი ცნობანი და მოსაზრებანი შესახებ საპარტიოლოს ისტორიისა.

მიუხილობა... უღმომავლი შეცდო-
მა... მაკ-პაპის შემოსევა საქართველო-
ში... ქარ-ბელაქანში სახლდობიან
ლეკნი... ენისელის სამოურავო სასუ-
ლოთნიოდ ვხდებ... სხვა-და-სხვა მიზე-
ზნი, საქართველოს თვით-მყოფლობი-
სა ძველ დროთ განმავლობაში...
სამხედრო იარაღი ქართველობის და-
სამხობლად და მის საწინააღმდეგოდ
ზომების მიღება... საგანმანათლებლო შეც-
დომა ერეკლე II-ისა... უაღრესი გა-
ძლიერება ლეკთა... საქართველოს
შეერთება რუსეთთან.

მიუხილობა არის შეილი მაშაღია-
ნობისა ანუ მისი მწველლობა. იგი
კავკასიელთ მაშაღიანებში გავრცე-
და მე XVIII ს. დასასრულს
მიუხილობის უმთავრესი მოთხო-
ვნილება არის ყაზავათი ანუ საღმრთო

ოამი წინააღმდეგ ქრისტიანებისა. ამ
უმთავრესს დებულების ძალით მიუხი-
ლობის მალარებელთა დიდი ენება
მოუტანეს ქრისტიანებს საზოგადოდ
და განსაკუთრებით ქართველებს, რო-
გორც უმთავრესს ქრისტიან ერს კავ-
კასიაში.

მართალია, ლეკთა მოძრაობა წი-
ნაღმდეგ ქართველთა და მათი მტრო-
ბა ახალი საქმე არ იყო მიუხილობი-
სათვის—რადგან მტრობა ლეკთა დაი-
წყო აღრევე, მაგალითებრ, მე-XV საუ-
კუნდგან.—ხოლო ესლ: ამ მტრო-
ბას მიუხილობამ დაულო სარწმუნო-
ბრივი მოთხოვნილება. წინაღ ლე-
კნი ებრძოდნენ ქართველებს უფრო
საჩო-საბადლებელის შესაძენ-გამოსა-
ჩომად, ესლა კი,—მიუხილობის მო-
ღერების მიხედვით, როგორც ქრის-
ტიან ერსა. ქრისტიანე მიუხილს მიან-
და უწმინდურ არსებად, თვით ქრის-
ტიანეს უწოდდა ვიურად (ღორად)
და მისი დაკოდა, დაწევა, დაზინე-
ბა, ანუ მოკლა კანონად და ალღობის

მამებელ საგნად აღიარებული ჰქან-
და. ამისა გამო ყაზავათის დროს ყო-
ველი მალარებელი დიდისა მაშა-
ღისა ვალდებული იყო შეჭურვილი-
ყო ფარ-ხმალით და გასულიყო
საბრძოლად წინააღმდეგ ქრისტიანე-
ბისა და სისხლის უკანასკნელ წე-
თის შერჩენამდის არ უნდა დაენებე-
ბინა თავი ბრძოლის ველისათვის
ამის არა მქნელს წინაღვე ხელი უნ-
და აეღო სამოთხისაგან და თავი
თვისი ჩაერიცხა ჯაპანაბის (ჯოჯოხე-
თის) შეილთა სიაში.

აი მიზეზი, რომელმაც მთელი სა-
ლეკო—ბუღე მიუხილობისა—შეჭქმან
ერთ დიდ სახმედრო ბანაკად და სა-
შიშარ ლაშქრად ყოველ ქრისტიანე-
თათვის საზოგადოდ და ქართველ-
ბისათვის კერძოდ და განსაკუთრებით.
ბოლოს დროს დლისტანი ისეთივე
საშიშარი მტერი შეიქმნა საქართვე-
ლოისათვის, როგორც ოსმალეთ-
საარსეთი...

გაძლიერება მკორე და უმნიშვნე-

ლო ტომთა—მკიდრთა მოსახლეთა
კავკასიაში და განსაკუთრებით ლეკ-
თა დაიწყო საქართველოს სამ სამე-
ფოდ განყოფილად მე-XV საუკუნეში.
ამ უღმომბელმა შეცდომამ შეასუსტა
გაელენა და მნიშვნელობა ერთ-მთა-
რობისა და საუკუნოდ დასთრგუნა,
ურაჰყო აღდგენა საქართველოსა და
მის მფლობელობისა კავკასიაში.
და მართლაც შემდგენი მეფობა-
ნი, ამათ შორის თვით შერე-
თებული ერთ-მთავრობა და მეფობა
ქართლ-კახეთში ერეკლესი, წარმო-
გვიდგენენ მხოლოდ აჩრდილს საქარ-
თველოს ოდესმე ყოფილ ძლიერე-
ბისას და მფლობელობისას კავკასია-
ში.

საქართველოს სამ სამეფოდ—ქარ-
თლისა, კახეთისა და იმერეთისა—გან-
ყოფამ საზოგადოდ და შემდგე ამისა
კიდევ ხუთ სამთავროდ—სამცხე-სა-
თაბაგოსი, სვანეთისა, სამეგრელოსი,
აფხაზეთისა და გურიისა—განაწილებამ
კერძოდ დაპაბა მრავალ-გვარი ურთ-

ერთ შორებრივი ბრძოლანი სამე-
ფო და სამთავროებ შორის...
ამ ბრძოლთა, რასაკვირველია,
შეასუსტეს ყოველი მამრძოლი ცალკე-
ცალკე და მთელი ქართლოსიან-
თა ერთობით. თუ შინაურ ომებს
მიუმატებთ აგრეთვე დაუსტრომელ
ომებს, გამოწვეულს სპარსთა და ოს-
მალთ შემოსევისაგან, მაშინ აღვი-
ლად წარმოვიდგენთ საქართველოს
დაძაბუნების სურათს და ამის შედე-
გად ჯერ მორჩილებილად გამოსვლას
მკორე ტომთა და მერმე მათ გაძლიე-
რებას და ბრძოლით თვით-მყოფელო-
ბის დამყარებას.

კავკასიელთა შორის ყველაზე უკე-
თესად საქართველოს დაძაბუნებით
ისარებელს ლეკთა. ამათ მეფეთა
დროს ხარკად ეღოთ თვითო ცხვარი
კომლყულად. ყოველს მოხარკე ლეკს
სახარკო ცხვარი თვითონვე, თავის
ხელით უნდა მოერთმია მეფისათვის
ტფილისს...

შემდგე საქართველოს განყოფისა,

ბნის ზიზის ჯერ კიდევ არ დაუსრულებია. მხოლოდ რაც დახატულია, უკვე იმეკლება ვენაში ანგერის მიერ. ბნის ანგერის ამ დღეებში გამოუგზავნია ეფეზის-ტყაოსნის დამბეჭდველ კომიტეტისათვის ოთხის სურათის მხატვრობა სანახავედ. ეს მხატვრობა მხოლოდ შვედ არის ჯერ დაბეჭდილი. პირველი სურათი წარმოადგენს ტარიელის ნახევარსტეფან მეთისაგან, მეორე—ავთანდილსა და ფატანს, როცა ამ წუთით მიჯნურთა ჩაჩნაგირი შეასწრობს, მესამე—ჩაჩნაგირის მკვლელობას ავთანდილის-მიერ და მეოთხე—ნესტან-დარეჯანის შეპყრობას ქაჯთაგანაო.

* * * 1 მაისს სათავად-აზნაურო ბნის ვადადის არწრუნისეულს ქარვას-ლაში, სადაც განსაკუთრებით ბნის-კისათვის თეატრის უკან ბაღში მოწყობილ იქმნა ცალკე შენობა.

* * * 4 მაისს დაიწყო საერთო კრება სათავად-აზნაურო ბნის წევრთა. კრება იქნება დილაობით, არწრუნისეულ თეატრის დარბაზში.

* * * გუშინ 29 აპრილს პირველ საათზე შავი ღრუბელი ჩამოაწვა ტფილისს ავქალისა და საგურამოს მხრიდან. სხელი წვიმა წამოვიდა და თან რაღაც ხუთილი ისმოდა. წვიმას ცოტაოდნად ხორხოშელაც მოჰყვა. საეჭვოა, რომ ტფილისის ზემოდ სტეფე არა ყოფილიყოს.

* * * ჩვენს მანდილოსნებს საზოგადოდ ჩვეულება აქვთ, სარცხის წყალია, ნაგავი, თუ სხვა რამე, რაც კი ხელში მოხვდებათ, მაშინვე ეზოში უკრან თავი. ეს ჩვეულება ზამთარში კიდევ შესაწყნარებელია, ზაფხულში კი ყოველ მანებელი ჩვეულებაა. ზამთარში დაჩვეულები, ზაფხულშია ეგრე იშლიან ამ ჩვეულებას. ერთი სტაქანი წყალიც კი რომ ვადიქნო ეზოში, გაჩნდება საიღან-ღაც პოლიციის მოხელე, მეტი ღონე არა გაქვს, დანაშაულობაში დაგვიტყოს და უნდა გადაიხადო ამ საგანზე დანიშნული ჯარიმა. ასე სასტიკად მოპყრობა, რასაკვირველია, ძალიან საქებურია, კარგი იქნებოდა, რომ მოეშალათ ამ ქალბატონებს ეზოს გაბინძურება და ქირგინაში და სანაგვეში ჩახსნათ და ჩაეყარათ ნარეცხ-ნაგავი, მაგრამ რა ჰქმნან

იმით, რომელიც ეზოშია ცირგინები არ არის, სად ვადასხან სარეცხი წყალი. კარგი იქნებოდა, რომ ამ საქმისთვის ყურადღება მიექციათ, პოლიციას შეეტყობინებინა ქალაქის გამგეობისთვის, რომელს სახლებს არ აქვთ ჯირგინები და სანაგვეები და ქალაქის გამგეობას კი სახლის პატრონებისთვის დაევალებინა ამათვის ვაკეთება, თორემ ვინ არ იცის სახლის პატრონების სიხარბე, ფულების აღება-კი უყვართ, ერთ თავის სიაროდენა ოთახში თუმშობით ქირებს იღებენ და ამისთანა საქროა სავანს, როგორც ჯირგინა და სანაგვეა, კი არა ჰმართავენ.

* * * კარალეთი დამ გვწერენ, რომ ამ დღეებში კარალეთს ზემოდ მრავლად დაისტეფეა სოფლებიო.

* * * ტფილისში დაარსებულის ძმობის განყოფილების დაარსება ვაზუზნახეთ აგრეთვე ვლადიკავკაშია. მთავარ ეპისკოპოსს ქართლისას და კახეთისას პაულეს უკვე ნება მიუცია ამისთვის. ძმობის განყოფილებას აზრად ექმნება შეამცროს მწვალებლობა, რომელიც თერგის ოლქში ძალიან გავრცელებულიაო. თავს-მკვდამარეს ძმობის განყოფილებისას დაწინაშავს ყოველად სამღვდლო ვლადიკავკაისაო. (კავკაზი.)

* * * იგივე ვაზეთი ამბობს, რომ ემინის იუბილის დასწრება საერო-განათლების მინისტრი დელიანოვი. იუბილიზე წაუყობავეთ ეპისტოლე კონსტანტინეპოლის პატრიარხისა და გუჯარი ემინის პატრიარხ-კათალიკოსის მაკარისა. სხვა-და-სხვა დებუტაციებმა პატივი სცეს იუბილიასაო. დებუტატიათა წინამძღოლად იყო მოსკოვის უნივერსიტეტის დებუტატია. ნ. ო. ემინი ამოიჩინეს მოსკოვის უნივერსიტეტისა და არხეოლოგიურისა, ბუნების-გამომკვლეველთა, ანტროპოლოგიისა და ეტნოგრაფიის საზოგადოებათა საპატიო წევრად.

* * * კვირას, 27 აპრილს საღამოს 5 საათზე პეტერბურგიდან მოვიდა ტფილისში სპარსეთის ელჩი მირზა-ასად ულლა-ხანი, რომელიც სპარსეთში მიემგზავრება. ელჩი რამდენ-

სამე დღეს აპირებს ჩვენს ქალაქში დარჩენას. (კავკაზი.)

დ ა მ ა კ ე რ დ ი

სიკვანძო ანც მამის გვეკითხება, როცა მოდის და ანც მამის, როცა მოდის. (ბუასტი)

* *

შორი დამ წუთის სიკვანძო ევალიუბის კონსას ჰგავს, ანლო-გი მხოლოდ ევლიანს ვაგია. (იგვი)

* *

ვინ სურსა მოიკვრავოს კმშაურთა წესითა, ბოლოდ განჭარდეს უწყლოდ ვაგეთს და კვქსითა. (მუფე ვასტანგ VI)

* *

ზირ-ფერობა, უკან ძრავა ანა თქმულა საფარსავო; სკობს ტყეღით ქვე ფოფანას, ზე სიმართლით ავამარგო. (დ. გურამიშვილი)

როგორ უნდა გადასწყდეს ბალკანების სახელმწიფოთა სამამე?

მიზეზი ეხლანდელის არეულობისა ბალკანის ნახევარ კუნძულზე.

საკვირველი საქმეა: ვინც უნდა მოინდომოს ბალკანების სახელმწიფოთა საქმის გადაწყვეტა სიტყვით, თორეპრივად, ინგლისელი იქნება, თუ ნემედი, ფრანგი, თუ იტალიელი, მწერალი იქნება, თუ დამინისტრატორი, ან სახელმწიფო გენი, ან თუ ვინა უბრალო სიკვდილის შვილი, დაწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველა თითქმის ერთ ნაირად გადასწყვეტავს. ყველანი ერთის აზრისანი იქნებიან, ყველანი ერთ-ნაირ გეტყვიან, რომ ბერძნის ზირ-მეგრულობა მკვიდრად დაბადებულია ქვეყნის დიპლომატიისა, რომ ბალკანის განთავსებულ სხელმწიფოებს სრული თავისუფლება უნდა მიეცეს, თავისთავი საქმე თვით-მოვლადობით აწამოვონ, რომ ამ სახელმწიფოთა ერთი ერთად-ერთი უფლებანი არიან

* * * ამ საგანზე ფრიად საყურადღებო წერილი ვახსენებ ვაზ. „Новости“-ში და მოგვყავს ამ შემოკლებით.

ბადა. თვით არსებობა ამ სასულთნოსი მოისპო 1844 წ. სულთანის დანიელობის დღისტანში ლტოლვის შემდეგ.

ორი სხვა საერისთონი დაისაკუთრეს ლეკებმა სრულიად. ეს მოხდა ასრე.

კახეთისკენ მიმავალმა შაჰ-აბაზმა დაღისტნელებს შეუთვალა: *«მე განვიზრანე კახეთის აოხრება. ჰხოცეთ და დაატყვევეთ ყოველი განიზნულნი მათა შინა.»* წინ წყალი, უკან მწვერიო რომ იტყვიან, ისრე მოუვიდათ ვაღმა-მხრის კახელებს. ბარი-დამ ურიცხვის ჯარით შეუტია შაჰამ და მთილამ შემოუარეს ლეკებმა და ნურც მტერი ჩავარდება იმ დღეში, რა დღეშია ჩაკეიდენენ მაშინ ვაღმა-მხარნი. მტერმა მრავალნი ვასწყეცა, ეკლესიანი დაანგრა, ცოცხლად დაშინილნი დედა-წულითურთ შაჰამ ვადასახლა სპარსეთში. ვადასახლებულების და დახოცილების სარჩობად ბედი, სასლ-კარი, დედულმა-

ბალკანების მიწა-წყლისა, ამისთვის ყოველივე ცდა კვრამის დიდთა სხელმწიფოთა, რომ თავად ჩავდომ სულში ბალკანის საუკეთესო ადგილები—დიდი შესამართლობაო.

ეს სიტყვით ასეა, მაგრამ საქმით-გი ჩვენს კვდავთ, რომ უსამზარნი ღამე-განნი და საშინელი ფლოტები დიდთა სახელმწიფოთა მუდამ მზად არიან ეგნენ ბალკანებს და იყარონ წელი ერთმანერთ შორას; ვსედავთ რა ნაირად ცდილობენ დიპლომატები ერთმანეთს თვალში აუბან და სხვას ან დასახვარს ის ღუქმა, რომელსაც ვავადიციბით თვითონ შეტყარან; ვსედავთ რომ ერთი-მეორეს ყურადღებთა ვსეგრავს, ერთი მეორეს ატყუებს. და მერე რა აუარებული სარვი მოსდევს ამ შეთოფ-ინარდებულს ერთმანერთის ვგვრას, თავლათვის მოხვან-ბულს მშვიდობიანობას და ჭიბს თუ არა ჩიტი ბღვინად—ამას აღარავინ არ ჭკითხულობს. ვსებათ ღუქავს ვაუტანია ყველა, სისარბეს თვლი აუხვავია ყველასთვის, ერთი-მეორეს არავინ არ უთმობს. საქმე—საქმესად რომ ვავარდავს, ერთმანერთში ვუღარ მოჭრავდავს ხოლმე და ვამდის რომ მხოლოდ ხმდს შეუქალის ვადანსწყვიტოს საქმე. რასან აუცილებულია, რომ ხმალი ჩავრიოს ამ საქმეში, ყველა, ვთილ-გონიერი გენი იტყვის, რომ ბარემ ჩვენა მოხდეს ესაო, რაც ადრე იქნება, მით უკეთესია, მით უფრო ნაკლებს მსხვერპლს მოითხოვს ეს ანირებული დავა-დარაბაო.

ხოლო, ვადრე საქმე ამ ვახურვეკვებს მდგომარეობაშია, სასტურესა ვინც-დეთ, რა აზრისანი არიან ამ საქმეზე, სულ სხვა-და-სხვა დასის მწერალის, სხვა-და-სხვა ერისანი.

ბრაიესკორა „College de France“-ის ღუი ღუე მსურავლე დამწველია ბოლგარებისა და მომსრე აერდისის ტრანკატის მიერ სამად ვასაწილებულის ბოლგარის შეერთებისა. ერთიანი ბოლგარია, სასტურესა სხელ-მეგრულობით აღიარებული, ბერძნის ტრანკატმა დასაწილაო და მით შექნა მიწეხი ესლანდელის არეულობისა ბალკანის ნახევარ კუნძულზე. ამ ბერძნის სხელ-მეგრულობის ბოლგარს, რომ ერთმა დიდმა სახელმწიფომ, რომელსაც არავითარი მხარე-დებუა არ მიუღია ბოლგარის განთავსებულბაში, სელი ვასწავინა ბოსნიასა და ქრეტო-კონისაგან და ოსმალთ უღელი მებაბის უღლით შესტვალაო.

„განთავსებულბა ქრისტიანებისა-

თვი, — ამბობს დეკე—ნება რომ მიუცეთ, ისე მოთავსებულბეხენ, როგორც მათი ერთმანეთი სურვილი იყო, რომ ბოლგარის რუმელია და მკვდარია მისტე-მადლო, ხერხოვან-სთან შეერთებულბე სულით და ხორცილ მასთან შეთვისტომებული ქრეტო-კონისა, ხოლო ბოსნიის მისტე-მოდს სურბისაო, განთავსებულბე-ბუღნი ერთი დაუბრავლებლივ დადგე-ბოდენენ წარმეტების ვასაო. თუ მეტადრე ვავრამას დიდნი სახელმწიფოთანი აღარ ჩავროდენენ იმთ საქმეში, თითო-ელი მათგანი თავის ვავრათის შინაურის საქმეების მოწყობას შეუდგებოდო და არავითარი მიწეხი აღარ ექმნებოდო: რამე უწყსობა მოკნინიო, იმიტომ რომ ეტნოგრაფიული მიზნება ერთსევე დიდთა სახელმწიფოთა მიერ იქმნებოდა დაცულო. მაშინ ყველა აიურბო თოფ-ინარდს და მშვიდობიანად ცხოვრებოდა.

ესედა-გი სულ სხვას ვსედავთ იმ... სიკვლის ვამო, რომელსაც ბერძნის სხელ-მეგრულობას ექსახან... თუ დას-მავს რამე ბოლგარებმა, მხოლოდ ის დასავსეს, რომ ეს დრო ამირ-ბეის შესავრებულად და არა სხვა და ამ საქმეში არ დაკვირბენ სხელ-მეგრულობის შედგენვლათა. ეს დრო იმიტომ ამოინიეს, რომ უფრო მოხერხებულ დროდ მიანხდათ; შეიძლება შემდარბე-ნენ ამ არხვანში, მაგრამ ვვრამას-გი ჰანც ვერ დაკვირბებდენ, რადგანც ვვრამა ერთს აზრს არ ადგია ამ საქმეში და თუ დაკვირბებდენ—ეგ ის იქნებოდა, რომ თავისთავი... საქმე მოხს... ვადელოთ, ხოლო ხორხსა და სხვავას-და ერს ამდენი მოთმინება არა ჭქონდა. შეიძლება ვანა ამ ვვარის ვატრების-თვის სასტიკად მოკვნიტო ბოლგარებს, როცა ამის მიწეხი ბერძნის ტრანკატ-იაო?!

თითქმის ამასვე ამბობს ნემეციების პატრიოტი დენი.

ბერძნისის ტრანკატმა სამად ვანა-წილს ბოლგარნი, წართვა უსურბივი ნავთ-სადგური დედაგანი, სერბის მიჭ-კვრამ თემი ვრანისა, ღესეგვადისა, ზი-როტისა და ნიშასა, სდაც წმინდა ბოლგარნი მკვიდრობენ და ამავ დროს მე-ღი სურბი-გი ისევ ოსმალთა სულში დასტავა. სერბის ბრაიესკოები ბოსნიის და ქრეტო-კონის-გი ვასტრანს მიუბო-მაო...

ასეთი ყოფა დიდხანს ვეღარ ვასტანო, ამბობს მათიას ბანი—სერბის მწველი. ბერძნისის კონგრესის მიწე-ხით უფრო დაისლართა და აიწყ-და-

კახეთის პირველის მეფის ალექსანდრეს ძის დავითის ძემ გიორგიმ ვაღმა მხარს დასვა მოურავნი: ენისელსა, წუქეთსა და კიაურში; ამანვე ლეკთა დაადო ხარკად ზაფხულობით ყინულის ზიდა მეფისათვის; მოურავთ ამასთანავე განსაკუთრებით დაევალა, რომ ლეკნი ჰყოლოდათ მუდმივს მორჩილებაში. მაგრამ მარტო დავა-ლებიდან არა გამოდიოდა-რა. საჭირო იყო მათთვის ზრუნვა, მომპირ-ნება და ამისთვის-კი საჭირო იყო სულიერი და ხორციელი ძალა. მაგრამ კახეთის მეფე ვერც ერთით უწევდებოდა ლეკებსა და ვერც მეორით, რადგან ერთსაც და მეორესაც ახმარებდა, ახლად ვაყრილ მომძებთან წერბილ ანგარიშების ვასწორებას და არა თავის ქვემეგრდომთა კეთილად მოწყობასა. ლეკნი ჰხედადენენ ამას, იხელებდენ მარჯვე დროს და დასტობით შემოიპარებოდენ კახეთში, იტაცებდენ პირუტყვითა და ტყვესა, არბეიდენ, სკარცეიდენ განაპირა

მოსახლეთა და უკუ-იტყვოდენ. შემდეგში (მე XVI ს. დასაწყისს), როდესაც ვავრცელდა ხმა, რომ შაჰ-აბაზ მოდის საქართველოს დასარბევად, ლეკნი სრულიად ვაუღდენ კახეთის მეფეს და უფრო დიდ-დიდ დასტობით დიწყეს შემოსევა არა თუ მარტო კახეთის განაპირა ადგილებში, არამედ მის შუა-გულშია და აგრეთვე ქართლ-იმერეთის სამეფოებშია.

ვალმა-მხრის ენისელის (სანგილო) მოურავიც მალე ვადუღდა მეფესა. მოურავმა ვახანის შვილმა, შიშისა გამო სამოურავოს დაკარგისა, ვაი-გო თუ არა მოსვლა საქართველოში შაჰ-აბაზისა, წინადვე ვრევენს მიეგება ქართველთა მტერსა, მორჩილება ვამოუცხადა და ვამაჰმადიანდა. აბაზს იამა საქციელი ვახანის შვილისა და მიუბობა სულთნობა ენისელისა. მის მერმედ სულთნები ამ ქვეყნისა სტოვრებდენ სოფ. ელისოში და ამიტომაც იწერებოდენ *«ელისოს სულთნე-*

სამწუხარო ის იყო, რომ კახეთის მეფეებს თუმცა გული ეთანადებოდათ წართმეულ და დაკარგულ ვაღმა-მხრისა და ძალიად ვამაჰმადიანებულ მომძებთათვის, მაგრამ, შაჰ-აბაზის შემოხვევის შემდეგ, ისრე დასუსტებულიყენენ ქართლის სამეფოსთან ერთად, რომ არა თუ შეეძლოთ-გამო-ენსნათ ვაღმა-მხარი სპარსთა ხელმწიფეთაგან ხელ-შეწყობილ ლეკთა მფლო-ბელობისაგან, არამედ იმდენი ძალა აღარ-კი უწევდებოდათ, რომ მოე-ლოთ თვისსავე გამგეობაში დაშთე-ნილ, ფრთებ-შეკვეცილ და ერთობ დაზიანებულ სამეფოთათვის მინც.

ჩვენ უკვე ვიცით შედეგი შაჰ-აბაზის შემოსევისა საქართველოში ანუ, უკვე ვსთქვათ, ქართლ-კახეთის სამეფოებში. ვიცით, რომ ირანისტანის დიდ ლომად ვოდებული შაჰ-აბაზი 1615—1617 წ. მიმინვარებდა ქართლ-კახეთში. ჩვენ ვემოდ ვსთქვით, რა ყოფა დააწია მან ვაღმა-მხარსა. საზოგადოდ კი ყველა მისგან მოე-

წესს ბაღყანის სახელმწიფოთა ურთი-
ერთობა. ამ განკარგვისა არაღიან არ
დაკმაყოფილება, და უკუდას მისეხი მისცა,
ან მისარი აუქციონს, ან სრულად არ
შესარულად მისგან შედგენილი სკლ-
კრულაბა.

ამ სახით, იფანტვი, სემენტი, სერ-
ბიაც ერთსა და იმავეს ამბობენ ამ სა-
განზე. და მართლაც რა ნაირად აურ-
რია საქმი ამ განკარგვისა! ბაღყანელთ
დობრეუკა რუქინებს მისცა, ბაღ-
ყანელთ ქალაქები სერბიას აკუთვნა,
სერბიასაჲ — ბაღყანის, ჩერნოვა-
რისა — ალბანის, ალბანისა — ჩერნო-
ვარისა და საბერძნეთს, საბერძნეთისა
ალბანის, სოლო მაკედონია ისე დასტო-
ვა, თითქო მხეთ-უნანავა ქალაქი, რომ
ზედ თვალს რეპოდეს ბერძნისა, ბაღ-
ყანისა, სერბისა და ალბანელთა.
დასასრულ კიდევ ბოსნიას და ჰერცეგო-
ვინას სკლამი სეკუდ... ჭეშმარიტად, გაცხა
ჭეშმარიტად, ბერძნის ტრანკტი მისალოდ
იმისთვის არის შედგენილი, რომ ბაღყანის
ერთი ერთმანეთს გადაჭვიდოს. ნუ თუ
მისადავი, უმთავრესი მისეხი კსლანდუ-
ლის არეულობას ბაღყანის ნახევარ
კონსოლს ეს ბერძნის სკლ-შეკრულაბა
არ არის?

ნ ა რ კ ვ ე კ ი

(უერნალ-გაზეთებიდან)

რამდენია ჩვენში განათლებუ-
ლი კაცი, რომელსაც ვითომ ხალ-
ხის სიყვარულით აქვს გული გამ-
ჭვავებული, მის კეთილ-დღეობაზე
ფიქრობს, საქმით კი ხელსაც არ
განძრავს და თანაც თავის განსამარ-
თლებლად წამოაყენებს ათას გვარ
მიზეზს, რომელნიც ვითომ ხელს
უშლის. ამ გვარ ხალხის გულ-
მემატკივარი ქურნალი «*Неделя*»
ერთ მოღვაწეობის გზას უჩვენებს
და ამ გზაზე გავლა, ჩვენის ფიქ-
რით, ისეთი ადვილია, რომ, თუ
კაცს მართლად ხალხისთვის მუშაო-
ბა ჰქონდეს, სხვა-და სხვა გარემოე-
ბით თავს ვეღარ იმართლებს. აი
ქურნალი რას ამბობს:

ხალხს განათლება ეჭირება. ხალ-
ხისთვის საქაროა სახალხო, ად-
ვილად გასაცემა წიგნები პრაქტიკულის
მიმართულებითა. ამ გვარის წიგნების
შედგენა, ჰქვდა და გარცელება თუნდ
ათას კაცს აღმოუჩნდა საქმეს, ოღონდ

ღონილ პატივთ ორთავე სამეფოთა-
თვის ანუ უსხვით ასრე: ა) შაჰ-აბაზმა
მზაკრობით და მოტყუებით ხელში
იგდო ორნი ძენი და დედა კახეთის
მეფის თეიმურაზ I-სა ქეთევან; პირ-
ველი საჭურის-ჰყენა და მეორე, ე. ი.
ქეთევან წამებით მოჰკლა მაჰმადი-
ანობის მიუღებლობისათვის; ბ) ამ ნაი-
რადვე შეიპყრო ქართლის მეფე
ლუარსაბ და შირაზში ჰყოლიო-
ბით მოჰკლა; გ) გლმა-მხრიდამ ცეც-
ხლითა და ფარ-ხმლით გადმოიარა
კახეთზედ ქართლს. ყოველთ უფ-
ლურთა, მოხუცთა, დედათა და ყრმა-
თა და ყოველთა, რომელთაც ვერ
მოსაწერს დროიანად ტყე-ღრეში მი-
ფარება და განიზნა, საშინელი
ტანჯვა-წამება მიაყენა. ეკლესიანი
და მონასტერნი დაანგრია და განად-
გურა. სოფელნი და ქალაქნი გადა-
ბუჯა, გატარცვის შემდეგ. ამ ნაირად
მთელი მისი ნაეალი, საქართველოს
აღმოსავლეთიდან მოკიდებული მის
შუა-გულამდის (ლიხის მთებამდის),

კი გამოვიდნენ საქვეუხო მოღვაწეობის-
თვის ისეთი კაცები, რომელთაც საქმის
ნამდვილი სიყვარული უღვივო გულში
და არა მარტო ლიტონი სურვილი. ამ
საქმისთვის დიდს შეძლების ქონა საქი-
რო არარის. „*Посредникъ*“ — მა მიღლიონ-
ზე მეტი წიგნი გაავრცელა ხალხში და
საქმი კი სულ მცირე შეძლებით დაი-
წყო. ოდესის სლავიანურმა საზოგა-
დოებამ წიგნების ბეჭდვა რომ დაიწყო,
თანა სულ „*ოც-და-ხუთი მანათი*“ ჰქონდა
და ესეც ნახესნი ფული იყო. საქმის-
თვის მხნეობა, გულ-წრფელი სიყვარული
და გულ-მოდგინება საქირყო.

ნუ თუ ჩვენში ეს დირსებანი
სრულიად არ მოიპოვება? ნუ თუ
ყოველთვის ჩვენს ხელთ უქმენ-
ლობას ჩვენს სიღარიბეს დავაბ-
რალბებთ? მამ ჩვენ შესარცხვენად
ოდესის საზოგადოება მინც ვი-
ქონითთ მუდმივ თავი წინ, სა-
ზოგადოება, რომელსაც ოც-და-ხუ-
თის მანეთით დაუწყება საქმი!..

«*Ревизоръ*»-ის იუბილის გამო
«*Петербургская Газета*»-ს შემდეგი
სასაცილო ამბავი გაცხვენება:

ქალაქ *П.*-ში „*Ревизоръ*“-ის წარ-
მოდგენის დროს, თეატრში სხვათა შორის
ერთი ვაჟბატონიც დაესწრო, რომელიც
ცოტა არ იყოს გადაურული ბრძანდ-
ბოდაო წარმოდგენის დროს რამდენიმე
რალაც ნმა ისმოდა თეატრში, მაგრამ
ყურადღება არავის მიუქცევია. აი გამე-
ლია თავდება, სცენაზე უნდადრო შემო-
დის და უკანასკნელს სიტყუებს ამბობს:
„მოხლე, რომელიც უმაღლესის ბრძანე-
ბით ჰეტირბრეგდამ მოსულა, გთხოვო,
რომ მასთან მაჰმადიანად.“ „გაროდნი“
და სხვა გამედის მომქმედნი პირნი „*ო-*
შით ხარ-დაცემული, გაშტერებულნი
დგანან, თეატრში სრული სიჩუქა. ამ
დროს უცნაოდ ვიღაცამ სხა-მალა დაი-
ყვია: — „რაო, ბიძიბო, არ მოგწონს!“

რასაკვირველია, თეატრში ამ
სიტყუებამ საშინელი სიცილი ას-
ტენა.

ბ ნ ი მეშერსკი, რომელიც სხვა-
და-სხვა განცეცდარიებში და მალა
საზოგადოებაში ყოველ გვარ ჭო-
რებს აგროვებს, შემდეგ ამბავს მო-
გვიტნობს თავის „*Гражданинъ*“-ში:

ფინანსთა სამინისტროში თითქმის ყვე-
ლა განყოფილების უფროსებმა „*ტინი*
სოვეტნიკობა“ მიიღესო, გვაუწყებს ბ-ნი
მეშერსკი. ამ დღეებში ერთი ამ სამინის-
ტროს მოხვედ, რომელიც მოხლეების
ბედ-ილბას ვარსკვლავთმორიცხველობით
ტუბულობს, ამ ამბის გამო ხალკლ-ანის
გულით მეუბნებოდაო.

მოირწყა ქრისტიანეთა სისხლით; დ)
ტყე-ღრეში, მიუვალ-მიყრუებულ ად-
გილებში შეგარებულნი ქრისტიანნი
დაზარალეს თუ ყაჩაღთ დასტებმა, თუ
უქმელ-უსმელობამ, თუ სიცივე-ად-
რიანობამ, თუ მრავალთა სხვა მი-
ზეზთაც; ე) უბატონოდ, მტარვლის
ანაბარად მყოფი ქვეყანა დაშთა მოუ-
უნხან - მოუთესველ - შეუმუშავებლად
და ამან ხალხში ჩამოაგდო სიმწირე
საკვებავისა; ვ) გავრცელდა ყაჩაღობა
და თარეზობა და ლეცებმა შაჰ-აბა-
ზის ქომავლობით დაიწყეს რბევა უკვე
ღარბულ-დაქცეულს ქვეყნისა; ზ) ამ გვარ
უბედურებამ შეამცირა მკვი-
დრთა მოსახლეთა რიცხვი. თვით
მაჰმადიანთა ისტორიკოსის ისკანდერ-
გუნჯისავე მოწმობით, შაჰ-აბაზისაგან
დაზოცილთა ქართველთა რიცხვი აღე-
მატებოდა 60,000 სულსა, საქართვე-
ლოდგან აყრილთა და სპარსეთის
პროვინციებში მაზანდერანსა, მიდი-
ასა, ფარსში და სხ. გარდასახლებულ-
თა კი 100,000 სულსა; ლ) პატივად

— ეს კარგი ნიშანი ვერ არისო.
— როგორ? რა? გოლვას მოსაწყვეტს,
თუ ხლოვრას მეტი?
— არა, უფრო უარესსაო.
— ისეთი რა იქნება მეტი?
— ვიშობ, რომ „*ტინი* სოვეტნიკო-
ბას“ ზედ სრული „*ატსტავაც*“ არ მო-
ჰყვესო.

არ ვიცი, რამდენად ძრიელია
პატივცემული მიხედე ვარსკე-
ლავთ-მორცხველობაში და გამარ-
თლებბამის წინასწარ-მეტყუელო-
ბა თუ არა.

უცხოეთი

საბერძნეთი. საბერძნეთის საქმეს ბო-
ლო არ ეკება. უკანასკნელმა დეკემბრში კი-
დეკ მოიტანა ათინდამ შოფოთვის და
მდელოვების ამბავი. 21 ანობის იყო
დანიშნული ვადა უცხოეთის მასხინ-
სა, მაგრამ მასხინ არსად განხდა. უფრო
დასკეთობით დაზარალებულნი, რომ დედა-
ნისი სამსახურდამ გადაგომას აზირობ-
სო. ტრეკუბისი იმიტომ მიიწიათ გო-
როლმა, რომ ამ საგანზე მოკლავარკო-
სო, მაგრამ ტრეკუბისის მალან ექსელე-
ბა კაბანეთის შედგენა იტვირთოს ამ
გაჭირებულს დროსაო.

რას უნდადა საბერძნეთს, ამბობენ
თუქმი პარიში, მოხდა თუ არა ბოლო-
განის არეულობა, 6 სექტემბერს, ადო-
და დეკემბრს თავის ჯარებით თეს-
ლია. სამს კვირასე დაყურება თავის
ჯარს თოფ ქემაო... რა კი სა-
ქმი შესრულდებოდა, მერე ევროპას
მოკვლა უქმი შესრულბულის საქმისა-
თვისა. ან კი რაღას იზამდა ევროპა?
„განა ევროპამ არ იზამდა ბაღყანისა
6 სექტემბრის საქმი, ამბობს „*Journal des Debats*“, ... განს სერბიამ ომი
არ დაიწყო, თუქმა ევროპამ წინააღმდეგ
იყო? ერთმა ევროპის დიდმა სასელ-
მწიფოთაგანმა არ უშუქა განს სერბიას
გაჭირბების დროს, რცა ბოღყანის
ჯარი შეესა სერბიასა? მანც ყოველ
შემთხვევაში, რას დაჯგავდა საბერძნე-
თი? თუ გაიმარჯვებდა, კანას და კრიტს
მიიღებდაო, თუ დამარცხდებოდა, და-
წმუნებულა უნდა ყოფილიყო, რომ უკ-
ნასკელს ქმის დიდნი სასელმწიფოანი
იმისკენ ექმნებოდნენო.“ მაგრამ სა-
ბერძნეთმა კარგი დრო დაჯგავდა. ეს-
ლა ოსმალეთი თავით-ფესამდე შეჭურ-

და დიდ უბედურებად ჩიითვლება აგ-
რეთეე ის გარემოებაც, რომ ქარ-
თველთა უღარესად შესასუსტებლად
და ქრისტიანობის დასამცირებლად
შაჰ-აბაზმა საქართველოდგან აყრილ
მკვიდრთა ბინაზედ, გარდა ლეცებისა
ქარ-ბელაქანში, დასახლა 80,000
სული ანატოლიელი თათარი.

ყველა ამ გვარ უბედურების შემ-
დეგ ადილად წარმოსადგენია, თუ
რა გვარ უბედურებამდის მიადწედა
ქართლ-კახეთი და რა უნუგეშო მდგო-
მარობაში ჩავარდებოდა; მით უმე-
ტესს, რომ ეს უბედურებანი პირველ-
ნი არ იყენენ ამ სამეფოებისათვის და
შაჰ-აბაზის წინად შაჰ-ისმეილისა, შაჰ-
თამაზისა და სხვათა მტარვლთაგან
ზედი-ზედ მოვლენილი ქრილობანი ამ
ქვეყნებს ჯერ არც კი მოარჩნოდათ.
შაჰ-ისმეილმა და შაჰ-თამაზმა ხომ
ადგილობრივ მრავალი ხალხი დაზო-
ცეს, რაღა თქმა უნდა, და ქვეყანა
აღაოხრეს; შაჰ-თამაზმა ამითაც არ
შეიჯერა გული, არამედ კიდე 30,000

ვილი სდგასო, ევროპა გონს მოკად და
მისი ფლოტო მხად არის დადწოლს სა-
ბერძნეთის ფლოტო და თვით ოსმალ-
ნიც სრულად გასტყუეტენ თემისტოკ-
ლეს ჩამომავლთ თესდადაშაო.

ოსმალეთი. ეუ-ფაშას დეკემბრში
წერია პირად ხონთქრისთვის და უთხო-
ვნიას, რომ საბერძნეთის სამხლავარსე და-
ზარალებულის ჯარისათვის მოსაშუქლე-
ლად კიდევ გამოიგზავნენ სხვა ჯარებიო.
როგორც ოსმალს ჯარი სამხლავარსე,
ისე საბერძნეთისა მალან შოფოთენ და
დრტენავენო. ამდენის ლოდინით ჯარს
გული გაუწვრილდა და ითხოვს ან გვა-
ამყო, ან სახლში დაგვიტოვებო...
ეს გარემოება მალან თუქმი აწუხებს
როგორც საბერძნეთის, ისე ოსმალს
მთავრობასაო. თუ საბერძნეთი სრულად
არ აიყრის თოფ-არდას, ოსმალს მოა-
თხოვს, რომ უხლეს საომარის სამზა-
დისის სარჯიო.

ბორბარია. სერბიის მინისტრს ფრ-
ანსოვისს უთქვამს, რომ ბაღყანისა ბაღ-
ყანის ნახევარ კუნძულზე სხვაზე კარგს
მდგომარეობასაო. თუ ჩქარა შესდგა
სამსრეთ-ბაღყანისის საერო კრება, ეს
კრება უთოდა იმას იტყვის, რომ ბაღ-
ყანისა და რუმელია ნამდვილად შეერთ-
დნენო. იქნება მთავრმა ჯერ-ჯერობით არ
გამოიყრის ესეთი მანიფესტაციაო, მაგ-
რამ რადგან ყოველ წელს მოხდება ესეთი
ამბავი, აღქმანდრე სრულად გააერთი-
ნებს ბაღყანისას და რუმელიას უფრო
ჩქარა, ვიდრე ვადა გაუგა გასრულ-გუბერ-
სიტარობისა რუმელიაშიო. რაჲ კი ეს მო-
ხდება, მერე ბაღყანისა ხელს მაკვლ-
ნისაგან გაიწვდენს და რუმეთის წინა-
აღმდეგ დაიწყებს მოქმედებას ბაღყანის
ნახევარ კუნძულზეო. თუ რუმეთმა დი-
ლომატეურის გზით ჩამოდა ესეთი ზღ-
ნუბი, ხომ კარგია, თუ არა და საქმი მ-
ლიან აირევაო. საზოგადოად, მე გვრძობ
რომ გერმანიის იმპერატორი თუ გარდაი-
ცვალა, დიდთა სასელმწიფოთა შორის
მძვიდობისაობას მალე მოკლებს ბო-
ლოყო.

გასართობი

გაზეთების რიცხვი მიუღს ქვე-
ნახელ. ფრანგების ანგარიშით, ამ უამად
მიუღს დადა-მიწის ზურგზედ იმეჭდება
86,500 უერნალ-გაზეთი. ყველაზედ მეტი

სული ქართველი გადასახლა სპარ-
სეთს 1552 წ. ჩვენ აქ აღარ ვამ-
ბობთ ყველა იმ რისხვაზე, რომელიც
წინა საუკუნოებში მოველინა საქარ-
თველოს საზოგადოდ და ქართლ-კა-
ხეთს კერძოდ მონგოლების, არაბე-
ბის, თურქთა სულთნების, სპარსთა
და სხვათა წყალობით. ყველა უბედურ-
ებათა ჩამოთვლა ძრიელ შორს წა-
გვიყვანს.

ეს ხომ ესრე იყო, იტყვის ჩვე-
ნი მკითხველი, მაგრამ რითი და რო-
გორ ავსნათ ის გარემოებო, რომ
მცირე ესე გრი ქართლოსიანთა და
ისიც მრავლად განაწილებული — გან-
თვითობული ამდენი უბედურების
შემდეგ არა დაირღვა და განიხრწნა,
პირ-იქით, ავად თუ კარად, დაიცვა
თვისი არსებობა..

ამ გვარი კითხვა ჩვენც არა ერთ-
ხელ მოგვსვლია ფიქრად. საქართვე-
ლოს ისტორიაზედ დაკვირვებას მოუ-
ცია ჩვენთვის მრავალი საბუთი, რომ
მეორე დასმულის კითხვის ასახსნელ

ევროპაში იმეჭდება; ევროპაშიაც ყველაზედ
ბევრი გერმანიაში გამოდის, ყველაზედ
ცოტა რუსეთში, გერმანიაში გამოდის 5,500
ურნალი, ამაში 800 ყოველ-დღიური გა-
ზეთია. მეორე ადგილი გერმანიის შემდეგ
უჭირავს ინგლისს, სადაც იმეჭდება 4,000
ურნალ-გაზეთი და ამაში 800 ყოველ-
დღიური გაზეთია. თითქმის ამოდენივე რიც-
ხვი გამოდის საფრანგეთშიაც; პარიში ყო-
ველ-დღე იმეჭდება 1,568 გაზეთი; საფრან-
გეთის პროვინციებში—2,506 და ყოველ-
დღე-ი — 360. იტალიაში უერნალ-გაზე-
თის რიცხვი 1,400-მდეა, ამაში 160
ყოველ-დღე იმეჭდება, რომში გამოდის
200 უერნალი, მილანში—140, ნაპოლში
—120, ტურინში—94, ფლორენციაში—
79. ავსტრიაში გამოდის 1,200 უერნალ-
გაზეთი; ამაში 150 ყოველ-დღიური გაზე-
თია. ისპანიაში გამოდის 850 უერნალი;
ამაში მესამედი ყოველ-დღიური. რუსეთში
იმეჭდება სულ 800 უერნალ-გაზეთი; ჰე-
ტერბურგში—200, მოსკოვში—75, სხვა-და-
სხვა ენებზედ. შედარებით უფრო დიდი
რიცხვი იმეჭდება საბერძნეთში; საბერძნე-
თში ყოველ ჰაზარა სოფელსა და დაბაში
იმეჭდება ჰაზარა საგაზეთო უერნალი. შვეი-
ცარიაში ირიცხება 430 უერნალ-გაზე-
თამდე. ბელგიაში და გოლანდიაში 300-
300 უერნალ-გაზეთობამდე იმეჭდება. მიუღ
ანიაში იმეჭდება 3,000-მდე უერნალ-გაზე-
თი. შედარებით ჩინეთში ცოტაა. ოფიცო-
ზური მმართველობის გაზეთი „*კინგ-ჰაო*“
იმეჭდება ჰეიკონი ყოველ-დღე სამს გამოცე-
მად, ყოველი გამოცემა სხვა ფურის ქა-
ლადზედ იმეჭდება; სხვა რიგინი გაზეთი
გამოდის შანხაიში „*ტინგ-ზაო*“ და „*ჰუ-ზაო*“
და მართველობის გაზეთი-კი კორეაში. მე-
ტად დიდა უერნალ-გაზეთობის რიცხვი
იაპონიაში, ამ უამად 2,000-მდეა. სამი ყვე-
ლაზედ უმთავრესი ესენი არიან: «*ხოტშიში-
ბუმი*», „*ტოიასოიბუმი*“ და „*მინიშიშიბუმი*“.
ტოიასოიბუმი ამ ბოლოს დროს დაიწეს გამო-
ცემა ფრანგულის გაზეთისა ამ სათაურით:
„*L'Avenir du Tonkin*.“ ბელუჯისტანში
და ავღანისტანში აქამდე ჯერ გაზეთი არ
გამოდის. სპარსეთში სულ 6 უერნალი გა-
მოდის. მიუღს აფრიაში 300 უერნალამდე
ქლიც იქნება, ამაში 30 ეგვიპტეში გამო-
დის. 1885 წ. მისამდე აფრიაში და ა-
ნდაში გამოდიდა 14,147 გაზეთი. სულ,
რაც უერნალ-გაზეთი გამოდის ქვეყნიერება-
ზედ, ენის მიხედვლობით რომ განაწილოთ და
ისე იანგარიშოთ, პირველი ადგილი უჭირავს
ინგლისის ენას, მეორე — ნემეცურისას, შემ-
დეგ საფრანგეთისასა და ისპანისას.

კალმის გამო. ორს მწერალს „*Mar-*
athon County Bank“-ისას ეისკონისში (ამე-
რიკაში) ჩხუბი მოსვლით კალმის გამო;
ორივენი ერთ კალამს იჩემებდნენ და ერთ-
მანერთს არწმუნებდნენ, არა ჩემია, არა ჩე-
მიაო. ერთი, გვარად ბილი, უფრო ღონიერ-
ი იყო და ამითომაც კალამი დაიხსოვოდა;
დაედა თავის ადგილას, დაიწყო გულ-მო-
გინედ წერა და თან ამბობდა: „რა მშვენიერ-
ი კალამია, საუცხოვოა, ხელში გამყო-
ლიო!“ ამ სიტყუებამ ბრაზი მოჰგვარა მის

ნასკვად ესცნად არა საქართველოს
ადგილ-მდებარეობა, როგორც ჰგო-
ნით ზოგიერთებს, არამედ, უმთავ-
რესად: ა)... ქართველთა განკუთვნი-
ბა და სხვათა უადრესობა მაჰმადიანთ
მტარვლებზე და ბ) ქართველთა
უადრესობა მტრებზე მხნეობით და
ვაჟ-კაცობით და უმწვერვალესად მა-
მულისა და ქრისტიანებთათვის სარ-
წმუნებების სიყვარული.

ჩვენის ფიქრით აქ, ამ გვარს მიზე-
ზედ უნდა ვეძიოთ საბუთნი იმ გა-
რემოებისა, რომ ქართველნი ერთო-
ბისა და განაწილების დროსაც დიდ-
სულიოვან მღვივით, სალ-კლდესავით
უძლებდნენ მრავალთა გრივალ-ქარი-
შხალთა, კალიის გაუმძლარ გუნდი-
საებ. მოსულ მტრის ჯარსა.

ესამ
(შემდეგი იქნება)

მოპირ-დაპირეს ტუიერს, ველარ მოიომინა; ფუნ-აკრეფით მიეპარა თავის გამარჯვებით მოხარულს ამხანაგს, კეფაში დამაჩნა დასცა და იქვე გააგრა. მკვლელმა უცროვ შეიგნო, რაც ჩაიდინა და ხელის მტრეფით დაიწყო ყვირილი: „მე მოკალი ისა! წუფელო კალამო!“ თითონვე გაქცა თურმე ციხეში. ისეთი აღვლევებული და აღშოთებული იყო, რომ რამდენჯერმე მოიწადინა თავის მოკვლა და როდესაც არ უშეგნდნენ, თავს კედელზე ახლიდა ხოლმე. ეს ყმაწვილი სულ ოც-და-ერთის წლისაა, მოკვლული ბილსი კი 19 წლისა. ორივენი კარგის ოფანის-შეღნი არიან, კარგი სახელი აქვთ დაჯარდნილი და აქამდინ ძალიან ერთმანერთის მოყვარულნი მეგობარნი ყოფილან.

დეკემა

28 აპრილს

პეტრბურგის დღეს პეტრბურგის ოლქის სასამართლოში თავს-მჯდომარის ამხანაგის კრესტინოვის თავს-მჯდომარეობით დაიწვეს განიკვან კონსტანტინის ბანკში ჩადენილ ბოროტ-მოქმედების თაობაზე. მოწყობად დაბარებული იყო 116 კაცთა, რომელთაგანაც 56 ან გამოცხადდა. ბაღსა სდებს პრეკურორის ამხანაგი ბობნიშვილი - შუშკინია. ბობნიშვილის დაძვრულია ნაფიცო გეგელი ურუსოვა და ახივოვა, სუს-დალკევისა - ტანსოვერა და შენაინ-მირანოვი.

აშინა. კორალმა მიიწვია დღეს ტრაკუზის. ეს განემეება მოსწავლეებს, რომ კორალს განსწავლა აქვს მაილს დელანისის თხივან სამხსურდად გამოსვლის თაობაზედა. ერთა-შორისა ძელტა გუშინ სუდსან ნავთ-სადგურისკენ გაემართა, მაგრამ ქანა ამოვარდა და ისევე საბეგრძეთის წყლებსაგან დაბრუნდა.

სოქია. ზოგაერთის მტრე ქადაქებში მთავრობის საწინააღმდეგოდ გრეხა იყო გამართულია.

აშინა. დიდმა ხაერთ კრებამ კონსტიტუციის შედარსე დადგინა მსურველ ღანაზავის შედეგ ოპის საჭარბაზე, რომ ღამკარი უფრო უნდა გავაძლიეროთ და კორალმა ღანისაში უნდა გავსტუმროთ. ამ განწყვეტილების შემდეგ, ბბბე კანის დელანისის სახლისკენ გაემართა. დელანისმა წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა, რომ კანბეტი დასთანხმდება ხელი მანწერას განკარგულებას თოფ-ანდლის აერის თაობაზედა. ამის შემდეგ ბბბემ ტრაკუზისის სახლის წინ მოაყარა თავი, დელანს აქ და ტრაკუზისის მღალატეს და სხვა ამ გვანს სახელებს ემხდნენ.

ბანშია. რეატრის საგენტოს დეპუტატებს, რომ ერთა-შორისის ძელტის გეგები, რომელნიც დღეს საბეგრძეთის წყლებში წავიდნენ, ისევე სუდსან ნავთ-სადგურში დაბრუნდნენ, რადგანაც ცუდი დარი დაუდგათ.

29 აპრილს

პეტრბურგის, გასეთეობა იუწყებან, რომ ახში სუთი წალი შემოსავალის ან გადასდებთ რეინის გსებნა. ამის მაკერ რეინის გსებს გადასდებთ ახში ხშია წალი შე-

მოსავალსა; მაგრამ ამხანაგე იმ რეინის გსებს, რომელთა აქციების შემოსავალი მთავრობას თავად უკანსნაია, არაფერი არ გადასდებთ ხოლმე.

აშინა. დელანისის გასეთეობა „ზოლი“ ამბობს: კანბეტის გამოხვლა სამხსურდად საჭარბაა, რადგანაც დღესდღეობა მდგომარეობა დიდს წანდს ამლებს წევს ქვეყნასა.

კორალმა გუშინ მიიწვია ტრაკუზის, თუძკ ტრაკუზისის გასეთეობა ამ სწინას, რომ რომელმა ხამინსტრამაც ჩაგდა ქვეყანა ესეთი განკარგულებს მდგომარეობაში, იანგე უნდა დასხნას ამ განკარგულებამა. მღალანაზავის დროს ტრაკუზისი ურსედა კორალს, რომ ზღალტ მღალადე და იმან იკანსტრამინსტრამს გამოცვლა. ეს რჩევა და გრეთეუკ გასეთეობის ახრა იმან მოსწავლეს, რომ ტრაკუზისი უნდა ამბობს ხამინსტრამს შედგენასეო. სეპბა ისმის, რომ ამ შეთხვევაში კორალმა სხვა ზოლიტეკურ მღალაწეებს მიქმართა ხო.

ლონდონი. გლანსტონმა წინადადება მისცა საზოგადოებათა ზღალტს, რომ არღანდაის თეთიმმართ: ელბის განს-პრეტეის მეორედ წავითეს შეუდექია და სთქვა, რომ მთავრობა მხად არან ზოგაერთა რამ დასთმოს არღანდაის წარმომადგენლობის გამო ბრატანის ზანღამენტშია: მთავრობას განსწავლა აქვს ნება მისცეს არღანდაის დეპუტატებს, რათა მათ შექმლოთ წინააღმდეგობა განსწავლ თუ გადასწავლების ცვლილებაზედა იქნება ღანაზავია; გრეთეუკ მხად არან ნება მისცეს შესწავლა იქმანს ის საგანა, საჭარბა თუ ანა ზოგაერთის საერთო საქმისათვის შერეული კომპანია დაინაშნოს ხოლმე ბრეტანისა და არღანდაის ზანღამენტის წევრობაგანა.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრეისმა აუწვა ზღალტს, საბეგრძეთის ნაბიერებს უგვე ალფა ექმნა შემორტეულია, მაგრამ ამ ალფის შემორტემის მშვიდობიანი ხანათა აქვსო, რადგანაც საბეგრძეთია დიდ სახელმწიფოებს არ ეამებო.

საქალმწიფო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩეპე (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
 ძველი ინდიქტიონი მე-14,
 ამისი ქორონიკონი — ულზ — 478
 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
 ახალი ინდიქტიონი მე-4,
 ამისი ქორონიკონი — მ — 42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები — 3.
 ყველიერი მოდის 16 ფებრუალს, დიდ-მარხვა — 23 ფებრუალს, აღდგომა — 13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა — 1 ივნისს, ამავე დღიდან იწყობა ჰეტრე-პაგლოლის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 ბერით და 6 დღით არის.

აპრილი 30 დღით არის.

30 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქულისა იაკობ, მისა წმ. იოანე მახარებლისა, მოწ. მასქიმესი, კათ. ეპატერიონისი, სევერ ეპისკ. და სოფიოსი. ქეშმარიტი უზადლე 11—55—10. ტუილისში მზე ამო-

დის 4—34; ჩადის 7—9. მოვარე ამოდის 1—8; ჩადის 1—15 წლ.

მაისი 31 დღით არის.

1 დღე ხუთშაბათი. იერემია წინასწარმეტყველისა კათ. ფილიპესი და იაკობისა. ქეშმარიტი უზადლე 11—56—9. ტუილისში მზე ამოდის 4—42; ჩადის 7—10. მოვარე ამოდის 2—6; ჩადის 1—52 წლ.

2 დღე პარასკევი. ჰონა ნაწილთა წმ. ათანასე მამათ მოავრისა. შობა მ. უშალ. ანდრეი ვლადიმირის-მისა, ბორის ვლადიმირის მისა, მარიამ ჰავლეს ასულიისა. კათ. ათანასისი.

გამოვიდა ბრანება, რომ ამიერ-კავკასიაში აღარა ხმარებულყო ვერცხლის ფული-საქართველოს მეფეების დროს მოქრილია (1852 წელს). ქეშმარიტი უზადლე 11—56—8. ტუილისში მზე ამოდის 4—41. ჩადის 7—11. მოვარე ამოდის 3—20, ჩადის 2—14 წლ.

3 დღე შაბათი. წმ. ტომოთე და მავრისა. კათ. ჰონა ცხოველ-მყოფელის დეპარისა. ქეშმარიტი უზადლე 11—56—9. ტუილისში მზე ამოდის 4—40; ჩადის 7—16—12. მოვარე ამოდის 4—31 ჩადის 3—2 წლ.

4 დღე კვირა. ლირისა ჰელაგისი, მოწამე სილოვანისა, ერაზმისა. სომეხთა: 22 დღე და მოთხე კვირა აღდგომის შემდეგ (კარმირ კურაყე). კათ. ფლორიანისა. ქეშმარიტი უზადლე 11—56—9. ტუილისში მზე ამოდის 4—39; ჩადის 7—13.

5 დღე ორშაბათი: ქალწულ-მოწამისა ირინისა. კათ. პისი. „გლასურება თავ. ციციშვილისა ერევანზედა 1804 წ. დაარსება ტუილისში წმ. ნინოს საქალგო სასწავლებლისა 1846 წ. იერიშით აიღეს არტანუჯის ცაზე 1877 წ. ქეშმარიტი“ უზადლე 11—56—11 ტუილისში მზე ამოდის 4—38; ჩადის 7—11. მოვარე ამოდის 6—42 წ. ჩადის 4—12 წლ.

გ ა ზ ა ნ დ ა .

გამოსაღებო ცნობანი.

1 აპრილიდან 1-ლ მაისამდე.

აღვიღობრი პური 1-ლის ხარისისა. 5 კ
 > > 2 > 2 1/2 >

ჰვარის მამის პური თონისა და ღვავში 1-ლის ხარისისა . . . 4 1/2
 მე-2 ხარისისა . . . 3 >
 მე-3 — . . . 2 1/2
 ძროხის სორტი 1-ლის ხარისისა. 8 >
 2 — . . . 7 >

საღალავი და ცალკე ამოჭრილი სუფი . . . 14 >
 ცხვრის სორტი . . . 9 >

მიძოსულა რეინის გსისა.

ტუილისიდან გადის ბათუმს 8 ს. ჯ 35 წ. დ. ბათუმიდან მოდის — — 10 ს. ჯ 25 წ. დ. ბაქოში მიდის — — 10 ს. ჯ 45 წ. დ. ბაქოდამ მოდის — — 8 ს. „ — „ დ.

ტუილისსა და სურამს შუა.

ტუილისიდან გადის — 3 ს. ჯ 19 წ. დ. სურამიდან ტუ. შემოდის 8 ს. ჯ 24 წ. დ.

მიძოსულა ფოსტის ეკიპაუთა

თბილისსა და კვევე შუა.
 პირ-და-პირ მსვლელნი დამით დაუდგომლან.

ტუილისიდან გადის — 4 ს. ნაშუადღევს კვევეში შედის — — 5 ს. 15 წ. კვევეიდან გამოდის — 4 ს. 7 წ. ტუილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

ღამე დგომით:
 ტუილისიდან გადის 8 ს. დილით, კვევეში შედის — 5 ს. 11; 6—43 ს. დ. კვევეიდან გამოდის 9 ს. დილით ტუილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 სად

განცხადებანი

საბაღო დაბაღის სკოლის მზრუნველი
 აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 25 აპრილს დანიშნულია მიღება მო-

სწავლეთა მოსამზადებელს განყოფილებაში და 1 მაისს-კი, სკოლა გაიხსნება. სკოლაში მიიღებიან მომუშავე მოსწავლევად ყველა წოდების ყმაწვილები. მოსამზადებელს განყოფილებაში შემსვლელთ მოეთხოვებათ იმ საგნების ცოდნა, რომელსაც ასწავლიან პირველ დაწყებით სახლხო სკოლებში; ყმაწვილი უნდა იყოს არა უმეტეს 12 წლისა. თხოვნა ყმაწვილის მიღებაზედ შეუძლიან შეიტანონ მსურველებმა კვეკასიის სამეურნო საზოგადოებაში ყოველ დღე, დღესასწაულების გარდა. 10—2 საათამდე. (3—3)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისეიღება თბილისში გრიჭოშვილის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, მთიანში ჰილანის მაღაზიაში:

ვასუშტი

განმარტებული და შეესებული ახლად შექმნილის არხეოლოგიური და ისტორიული ცნობებით

დამიტრა ზ. პაჭრამის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტი.

შედგენილი და დასტუელი ქავსუდ ნ. ი. წიგნისისეგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისეგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის სროლოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტეზზე (ბროსესის); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და ქართლის ცხოვრებისა ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზენე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიული ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანი და შინაგანი (სხვა-დასხვა ხრონიკებიდან, გუჯრებიდან და წარწერებიდან), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე (+ 1469 წ.). აქ თეთოთეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მიეღს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიული ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დასატული, რომ იმის მთხრობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნების დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი ვახუშტის ისტორიისა. „მეორე ნაწილს“ საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშების ძველის დროდამდე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეეგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოსა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის აღუბეჭდით გამოიცემა 1887 წელს. (20—2)